ST2
1948/2

ლიტერა

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
იღხინე, ქართველთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო.“

N 7 1948

ᲚᲘᲚᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲚᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ
ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ
ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲛᲪᲘᲠᲔᲓᲬᲚᲝᲕᲐᲜᲗᲐᲗᲕᲘᲡ

№ 7

ᲘᲕᲚᲘᲡᲘ
1948

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
იღხინე, ქართველთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლულ
სამშობლო გაახარეო.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსავლის სიმღერა

დამწიფდა ყანა, დამწიფდა,
ყვითლად ბიბინებს მთა-ველი,
სიმწიფისაგან დამძიმდა
მუჭისოდენა თაველი.

სოფლად გაისმის სიმღერა,
მღერიან კოლმეურნენი,
კალოსკენ მიჭრიალებენ
მნით დატვირთული ურმები.

არ ეძინება კომბაინს
დღედაღამ გააქვს გრიალი,
ფერდობებიდან მოისმის
ალესილ ნამგლის წკრიალი.

არ ისვენებენ ბავშვები,
შრომით არიან გართული
და ნაპურალში აგროვებს
დარჩენილ თავთავს ხათუნი.

არც თამროს უნდა ჩამორჩეს,
ისიც აგროვებს თავთავებს,
მარინეს შესჯიბრებია,
ჩინოს და ბედის აჯავრებს.

ტკბილი სიმღერა გაისმის,—
კომბაინს გააქვს გრიალი.
რა მოსავალი მოსულა
უხვი და ბარაქიანი.

რევაზ მარგიანი

ვახტანგ ჭელიძე

ნახატი რ. სტურუასი

დიდი ოჯახი*)

მაისის ბაღში

ჩაფიქრებული ანდრეიკო რომ დაინახა, ნოდარი წუთით შედგა, მერე წყნარად მიუახლოვდა მას და წყნარადვე ჩამოჯდა.

გაზაფხული იყო. მთაში თოვლი დნებოდა და ლანქერებად მოედინებოდა. მოდიდებული მდინარე ხმაურით ეხეთქებოდა ქვებს, მოუსვენარი ბუტბუტითა და ქოთქოთით მოექანებოდა. საბავშვო სახლი გორაკზე იდგა. მდინარე გვერდით ჩამოუდიოდა გორაკს. მდინარის გაღმა, დიდ მანძილზე საყანე მიწები გადაჭიმულიყო. ბორცვებზე ზღვასავით შრიალებდა ჩაის მწვანე პლანტაციები. ნიავს გუგულის ხმა მოჰქონდა. შორიდან მოისმოდა წალდის ჩაკუნი. გლეხები საყანე მიწას კაფავდნენ. ხანდახან ფუტკარი გაუბზუილებდა ბავშვს ყურთან. ჩიტები დაუზარელად დახტოდნენ ხიდან ხეზე და გაზაფხულის სასიამოვნო სუნით გაჟღენთილ ჰაერს ტკბილი ჭიკჭიკით ავსებდნენ...

ნიშა-ბოჩოლამ ოცნებიდან გამოიყვანა ანდრეიკო. ხბო ყველას ცნობდა, ახლა კი, უცხო ბავშვი რომ დაინახა ცნობისმოყვარეობამ სძლია, მიუახლოვდა. რძეშეუმშრალი ტუჩები ხელთან მიუტანა და, თითქოს ესალმებაო, თავი დააქნია. ბავშვმა ალერსით გადაუსვა თავზე ხელი, შუბლზე აკოცა. კვლავ ცრემლი მოადგა თვალზე. ახლა შენიშნა ნოდარი, მოუბრუნდა.

— ჩვენი ბოჩოლაა. — დაარღვია უხერხული სიჩუმე ნოდარმა, — მეორეცა გვყავს, მაგრამ ის დიდია, მოზვერია. — ცოტახნის შემდეგ პირდაპირ განაგრძო: — ეს კი მაისის ბაღია. ჩვენ თვითონ გავაშენეთ და ეს სახელიც ჩვენ შევარქვით. სულ ხეხილია. მალე ხილს მოისხამს... — ნოდარმა შენიშნა, რომ მისი ახალი მეგობარი კვლავ დათოვლილ მთებს მიშტერებოდა.

— გურიის მთებია. ხომ ლამაზია? — და როცა მეგობარმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და მობრუნდა, ნოდარმა განაგრძო: — იქ არის გაშენებული ულამაზესი აგარაკი — ბახმარო. ზაფხულში იქ დავდივართ ხოლმე, ვისვენებთ. დაგვითხოვენ თუ არა სკოლიდან... — ნოდარი ძალიან ცდილობდა ისეთი რამ არ ეთქვა

*) გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნ. „დილა“ № 6

ახალი მეგობრისათვის, რაც სევდას აღუძრავდა მას, მაგრამ მაინც ვერ მოახერხა: სკოლის ხსენებაზე კვლავ მოეღრუბლა სახე ანდრეიკოს და თავი ჩაჰკიდა. უნებლიე დანაშაული რომ გამოესწორებინა, ნოდარმა სწრაფად განაგრძო: — ახლა კი გამომყევი, ერთი საიდუმლო უნდა გაგანდო.

ბავშვები წამოდგნენ და ფერდობს ჩაჰყვნენ მდინარის მიმართულებით. იქ საბავშვო სახლს ბოსტანი ჰქონდა გაშენებული.

გოგის თავმოყვარეობა

„ამაზე დიდი შერცხვენა იქნება? პირველმა მე გადავწყვიტე ანდრეიკოსთან დამეგობრება—ნოდარმა კი დამასწრო. ნეტავი, საით მიჰყავს? მდინარეზე სათევზაოდ? ჯერ ერთი ადრეა, მეორეც, ნებართვა არ აუღია. ბოსტანი ხომ არ უნდა ანახვოს?! რა არის იქ საინტერესო? პამიდორის ნერგებით გააკვირვებს?! ალბათ უნდა ნატურალისტთა წრეში ჩაიბას. ვნახოთ...“ — ასე ფიქრობდა გოგი და თან თვალს არ აშორებდა ფერდობზე სწრაფი ნაბიჯით ჩამავალ ანდრეიკოსა და ნოდარს. „როგორც კი დაბრუნდებიან, ცალკე გავიხმობ ანდრეიკოს და ჩემს გეგმას გავაცნობ. ბიჭი არ ვიყო, თუ ჩვენი სამტრედედან წელს ორასი მტრედი არ ავაფრინო!“.

მაგრამ, როცა ბოსტნიდან დაბრუნდნენ ბავშვები, გოგიმ თავის გეგმის გამჟღავნებაც ვერ მოახერხა. ისინი ჩქარი, საქმიანი ნაბიჯით მიდიოდნენ. ანდრეიკოს შუბლი გახსნოდა, თვალები უციმციმებდა, თითქოს გულიდან გადაჰყროდა ყოველგვარი დარდი. მათ საჩქაროდ აირბინეს კიბე და ბიბლიოთეკაში შევიდნენ.

გოგი ეზოში გამოვიდა. გადახედა ფერდობს, ისეთი ვერაფერი შენიშნა, რითაც შეიძლებოდა უკრაინელი მეგობრის დაინტერესება. ვერ მიხვდა სად უნდა წაეყვანა ანდრეიკო ნოდარს. ბევრი იტრიალა, ბიბლიოთეკაშიაც შევიდა. ისინი კუთხეში მაგიდას მისხდომოდნენ და გულმოდგინედ ათვალიერებდნენ რაღაც წიგნს. ნასადილევს გოგი კიდევ შევიდა ბიბლიოთეკაში და დეიდა ქეთოს, საბავშვო სახლის აღზრდილს და ახლა ბიბლიოთეკის გამგეს, სთხოვა: მეც ის წიგნი მათხოვეთ, ნოდარი და ანდრეიკო რომ კითხულობდნენო. დეიდა ქეთომ კარადიდან გამოიღო წიგნი — „პამიდორის ჯიშები“. საოცარია — ფიქრობდა გოგი და უგულოდ ათვალიერებდა წიგნის ფურცლებზე დახატულ პამიდორის სხვადასხვა ჯიშებს.

(დასასრული იქნება)

როცა წვერულვაშიანი იქნები

ვახტანგის პაპა გვიან ბრუნდებოდა ხოლმე სამსახურიდან და ყოველდღე მარტო სადილობდა.

ვახტანგს იზიდავდა უფროსების სუფრა. იქ იყო ღვინო, წნილი, გემრიელი საწებელი და ბევრი რამ ისეთი, რასაც ვახტანგს არ აჭმევდნენ.

ერთხელ მოუსვენარი ვახტანგი პაპას მაგიდას მიუჯდა და კინაღამ ღვინით სავსე ჭიქა წაუქცია.

პაპამ ფრთხილად აიყვანა ვახტანგი და უთხრა:

— ჯერ შენთვის ადრეა უფროსებთან სადილობა, როცა ჩემსავით წვერულვაშიანი იქნები, მაშინ მე და შენ ერთად ვისადილებთ, ახლა კი წადი და ითამაშე.

ვახტანგს ძალიან ეწყინა და თავის ოთახისკენ გაცუნცულდა.

მეორე დღეს სამსახურიდან დაბრუნებისას, პაპას, მაგიდასთან თეთრწვერა ვახტანგი დაუხვდა.

სახეზე თოვლის პაპის ნიღაბი გაეკეთებინა და დარბაისლურად ეჭირა თავი.

პაპას გაეცინა. სუფრაზე მიიწვია, ყველაფერს სთავაზობდა, მაგრამ ვახტანგს ნიღაბი უშლიდა და ვერაფერი ვერ იგემა.

მარიჯანი

პატარა მეზღვაურები

ზღვას გასცქერიან, ზღვასავით
აღელვებული გულებით,
ნახიმოველი ბიჭები,—
პატარა მეზღვაურები.
ჯერ გემზე არც კი ყოფილან,
მაგრამ წლებს წლები გაჰყვება;
ზოგს კაპიტნობას ანდობენ,
ზოგიც შტურმანი გახდება...
დაიზრდებიან ბიჭები,
მზის და სიცოცხლის მნახველნი,
და დიდ ზღვებს გადასცურავენ
სამშობლო ქვეყნის სახელით.

მურმან ლებანიძე

შუქურა

ბინდდებოდა. ძლიერი ზენა ქარი ქროდა.

პატარა თამაზი ავადმყოფი მამის გვერდით იჯდა.

მამამ სიცხისაგან წამოწითლებული თვალები გაახილა.

— შუქურაში ახლავე ავანთებ ლამპას... — ჩაილაპარაკა და თვალები ისევ დახუჭა.

თამაზი შეკრთა, შუქურასაკენ გაიხედა.

„მამა ავად არის, ამაღამ შუქურას ვინ აანთებს!? გემი უნდა მოვიდეს, ნავსადგურში როგორ შევა? შუქურა კი გემს ნავსადგურში შესასვლელ გზას უჩვენებს“.

თამაზმა მაგიდის უჯრა გამოაღო, შუქურას გასაღები ჯიბეში ჩაიდო და გარეთ გავიდა.

შუქურა ზღვაში, იქვე, პატარა კუნძულზე იდგა.

თამაზი ნავში ჩაჯდა და შუქურასაკენ გაემართა.

ზენა ქარი თამაზს ეხმარებოდა, ნავს მიაქროლებდა.

შუქურასთან შეაჩერა ნავი, ნაპირზე გადმოხტა, ნავი ბუჩქზე მიაბა. შუქურას რკინის კარები გააღო და მწვანე შუშიანი ლამპა აანთო.

„გემი მშვიდობით შევა ნავსადგურში!“ — უხაროდა თამაზს.

თამაზი ნავს დაუბრუნდა, ნიჩბები მოიქნია, მაგრამ ზენა ქარმა მოიტაცა ნავი, გააქანა. თამაზმა ძალღონე მოიკრიბა, მაგრამ ამაოდ. ნავსა და ხმელეთს შორის მანძილი თანდათან იზრდებოდა.

დიდხანს იბრძოლა თამაზმა. ბოლოს ლონემიხდილი, ნავში პირქვე ჩაემხო და ატირდა.

* * *

შებინდებისას, როცა თამაზი შუქურასაკენ ნავს მიაცურებდა, ნავსადგურის სამორიგეოში ჩოჩქოლი ატყდა.

— შუქურაში რატომ არ ანთია ლამპა? — ღელავდა ნავსადგურის კაპიტანი. ნავსადგურის ზედამხედველმა, მალალმა, თეთრწვერა კაცმა გაკვირვებით თქვა:

— რამდენი ხანია შუქურა აბარია მაგ დალოცვილს და მუდამ ჩინებულად მუშაობდა. დღეს რა დაემართა?

ზედამხედველმა და სანაპირო მატროსმა თამაზის სახლისკენ სწრაფი ნაბიჯით გასწიეს.

გზაზე ზედამხედველი შეჩერდა:

— აინთო! — თქვა მან. წვერზე ხელი ჩამოისვა და დაუმატა:

— მაინც მივიდეთ, ვკითხოთ, გვიან რატომ აანთო ლამპა.

ისინი სახლში შევიდნენ და გაუკვირდათ, თამაზის მამა ლოგინში მწოლარე რომ დაინახეს.

— შუქურა ვინ აანთო? — გაიფიქრეს მათ. — ლევანს რომ აენთო, აგრე ჩქარა უკან ვერ დაბრუნდებოდა.

— რა დაგემართა ლევან, სიცხემ როგორ წაგაქცია? — მიმართა ავადმყოფს ზედამხედველმა.

თამაზის მამამ სცადა გაღიმება, ტუჩები აამოძრავა, მერე უცებ შუბლი შეიკრა.

— შუქურა...—ჩაილუღლუღა ავადმყოფმა და სკამზე გადაკიდებულ ტანსაცმელს სწვდა.

— დაწექი, ყველაფერი რიგზეა, შუქურა უკვე ანთია...

— ჩემი თამაზი აანთებდა,— თქვა სიხარულით ლევანმა და ისევ დაწვა.

ზედამხედველი და მატროსი კარგა ხანს ელოდნენ თამაზს. ზენა ქარმა იმატა.

— ახლავე გაიქეცი, კატარღის მეთაურს უთხარი დაუყონებლივ გავიდეს ღია ზღვაში, თამაზი მოძებნოს. კუნძულზე არ დარჩებოდა, მამას არ მიატოვებდა. უთუოდ დაბრუნება სცადა, მაგრამ ალბათ ქარმა სძლია და გაიტაცა,— უთხრა ზედამხედველმა მატროსს.

★

— ნავია, დაიჭი... შეესმა თამაზს ძახილი, და თავი ასწია.

კატარღა გვერდით მიადგა ნავს.

— თამაზი ხარ? — შესძახეს კატარღიდან.

— მე ვარ, ბიძია... მიუგო თამაზმა.

— ამ ქარში როგორ გაბედე ნავში ჩაჯდომა?

— მამა ავად არის, შუქურაში ლამპა ავანთე.

მატროსებმა თამაზი ნავიდან კატარღაზე გადასვეს და ნავი კატარღას მიუბეს.

— ყოჩაღ, ბიჭო!—ალერსიანად უთხრა თამაზს კატარღის მეთაურმა და ქოჩორზე ხელი გადაუსვა. ზღვაზე ძლიერი ქარი ქროდა, თამაზი ხალისიანად იდგა კატარღაზე, რომელიც ნაპირს მშვიდობიანად უახლოვდებოდა.

ანდრო ლომიძე

ნახატები შალვა ცხადაძისა

შრომის სიმღერა

გმირმა შრომით შეამკო
ეს ველი და ეს ყანა.
მინდა ისევ შევაქო
ჩვენი ტურფა ქვეყანა.

შეხეთ დახრილ თავთავებს,
ბარაქიანს, მარცვლიანს;
დაპურებას ამთავრებს,
დაბწიფებას აცლიან!

მოსავლის ალებით
გაიხარებს მამული.
აქ კარგია ბალებიც
ცვარით გადანამული.

გივი, დაღი, ეთერი
ახლა მინდვრად არიან.
ნორჩებს გარჯა შეჰფერით,
შრომა სანუკვარია.

პარლამ ქურული

თვეების გასაუბრება

ი ა ნ ვ ა რ ი

იანვარმა დაიკვეხა:
— უფროსი ძმა მე გახლავართ,
ჰა, ნაძვის ხე მოვიყვანე
თქვენი გულის გასახარად,
მოვსულვარ, რომ თოვლის ფიფქის
ვარსკვლავები დაგაყაროთ;
და ახალი, ბედნიერი
წელიწადით გაგახაროთ!

თ ებ ერ ვ ა ღ ი

თოვლის ფიფქით ვის აკვირვებ!
მეც ბევრი მაქვს თოვლის ფიფქი, —
შენც ხომ იცი, საქართველოს
ნატვრა როდის აუსრულდა,
მე ვაქციე სინამდვილედ
ჩვენი ხალხის დიდი ფიქრი,
და ქართველმა თებერვალში
მოიპოვა რაც მას სურდა.

მ ა რ ტ ი

მე რა მეთქმის, ჩემი შიშით
არ შორდება ხალხი კერას,
ქარი ვიცი? წვიმა ვიცი? —
გაზაფხულის კაბას ვკერავ,

საქებარი მეც მაქვს, მაგრამ
თავის ქება მეძნელება, —
მე ველ-მინდვრებს ვეფინები
იებად და ენძელებად.

ა პ რ ი ღ ი

მე პატარძალს მეძახიან,
კეკლუცსა და სანატრელსა,
გაზაფხული მე მომყავსო —
რად ტრაბახობს მარტი ბევრსა,
მერცხლებს ჰკითხეთ, ჭიკჭიკით რომ
გაუხარეს ყველას გული;
მთებს და მინდვრებს გასძახიან:
„გაზაფხული, გაზაფხული!“

მ ა ი ს ი

გამარჯვების ზეიმი ვარ,
თვე გახლავართ სანატრელი,
მაისობით გაიკაფეს
მშრომელებმა გზა ნათელი, —
სიხარული მოვიტანე,
ამ სიხარულს მე ვდარაჯობ!
ხალხიც ასე გაიძახის:
“დიად მაისს გაუმარჯოს!“

ი ვ ნ ი ს ი

ნაირფერად დამიხატავს
ჩემი ქვეყნის მთა და ველი,
თქვენი გულის გასახარად
მომაქვს ხილი ულეველი.

ზაფხულიც მე მომყავს ფრთებით,
დოვლათით და ბარაქითა,
თან „ხუთოსნებს“ პირმცინარეთ
გულს ვუხარებ ბანაკითა.

ივლისი

მშრომელთათვის პური მომაქვს,
აღარა აქვთ ბელლებს ტევა,
უბრალო თვე ნუ გგონივართ,
სანატრელი მკათათვე ვარ!

აგვისტო

უსამართლოდ რად ამბობენ
თითქოს სიცხით ვწვავდე ყველას,
მეც ბევრი მაქვს საამაყო,
თუმც არ მსურდა გასამხელად;
მწიფე ხილი და საზამთრო
საამებლად ჩაშაქრული,
თუ კი დაგცხათ, მოდით, ჭამეთ,
გაიგრილეთ ყველამ გული.

სექტემბერი

ჩემი მოსვლით ყველა ბეჯითს
აევსება ლხენით გული,
სკოლის ეზოს კვლავ ვაღვიძებ
სიცოცხლით და სიხარულით.
ვინც ახლავე იბეჯითებს,
მოანდომებს შრომას დიდ დროს,
მან მიიღოს „ხუთები“ და
ცოდნით თავი გაიმდიდროს.

ოქტომბერი

აბა, ვის გსურთ ჩურჩხელები,
და ყურძენი ქარვისფერი,
კომში, ხურმა, მანდარინი
ტკბილზე-ტკბილი, ბევრზე-ბევრი.
მინდა სუფრა გაგიშალოთ
სავსე გულით, წმინდა გულით,
და დაგატკბოთ შემოდგომის
დოვლათით და ჭირნახულით.

ნოემბერი

ხალხს ხომ ასე მიაჩნია,
ეს სიმართლე გახლავთ სრული,
ოქტომბერი ჩემი ძმაა,
ჩემი ღვიძლი, ჩემი გული.
ჩვენ მივეცით ყველა მშრომელს,
სიცოცხლე და სიხარული,
მოვსპეთ ჩაგვრა, მოვსპეთ ტანჯვა,
დავამარცხეთ მტერი კრული.

დეკემბერი

მე იანვარს ყურს ვუგდებდი
და ტრაბახი მესმა ბევრი,
არ გავბრაზდი, გაბრაზება
ჩემი ხნის კაცს არ შეეფერის.
თვითონ ბრძანეთ, დიადი მზე
ამობრწყინდა რომელ თვეში,
მზე, რომელმაც გაგვითენა
დღე ყველაზე უკეთესი;
შეაყვარა ხალხს სიცოცხლე,
გული გაგვივარდისფერა,
მას ვუსურვოთ დღეგრძელობა,
ჩვენს დიდ მამას, ჩვენს დიდ ბელადს!

ალეკო შენგელია

ნახატები **რ. სტურუასი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახატი ალ. გიგოლაშვილისა

*

ეს მკათათვე შობრძანდება,
ყანამ მოიღერა ული:
—დამიძახეთ ვაჟკაცებსა,
ნამკლებს წამოავლონ ხელი.
ძნა კალოზე მოიტანონ,
ბური იეოს, ვინდა ქერი,
მოშხიდონ და ძნებად დამდგან—
ცამდე მიწვდებოდეს წვერი.

*

კომბაინი ყანასა მკის,
ბულსალისითა ვრიალებს,
ცელი ვადის და ვამოდის
სარკესავითა ბრიალებს.
თავთავს სჭრის, მაღლა უგზავნის,
ნალასავითა შრიალებს,
კომბაინის დიდი დოლი
ციბრუტივითა ტრიალებს.

*

ულესავ და ულესავ ნამკალო
ნამკალო, ჩემო რკინაო,
ვაულესავ სალესავითა,
ვასჭერ, ვამიქს წინაო.

*

ალალ მაქო, დალალ მაქო,
დიდ მინდორში ყანა ვყავ,
აბა მარჯვედ დატრიალდი,
ხაჭამადი შზათა ვყავ.

*

ყანაო ფათალიანო,
ბიჭებიც აქ არიანო,
სიმღერაც დავაუგუნოთ,
ნამკლები ავაღრიალოთ.
ბიჭო იმარჯვე, იმარჯვე,
ააბმაურე ხელიო,
რკინის ულელი ვადასდე,
ყანას ვამოსჭერ ულიო.

(ხალხური ლექსები)

საზაფხულო არდადეგები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაირეკა წასვლის ზარი,
შეჩოჩქოლდა ეზო, სკოლა;
მოწაფეთა ნორჩი გული
განშორების განცდით ჩქროლავს.

წარმატებით ვინც სწავლობდა
მხიარულად შინ მიქროლავს,
და მოწყენით მიზოზინებს
ვინც სუსტები გაიყოლა.

გამოცდები ჩააბარეს,
გაუთავდათ ბავშვებს სწავლა
და ნატრობენ: „ახ, რადა ღირს
ველ-მინდორზე ახლა გავლა!

ახ, რადა ღირს, მწვანე მოდზე
კოტრიალი თავისუფლად,
ან ტყის ჩრდილში, წყაროს პირას,
სასუსნავით სავსე სუფრა!

ნეტავ მაღე გავიდოდეთ
საბანაკოდ სადმე სოფლად,
სხვა კუთხიდან ჩამოსული
ტოლ-სწორების გასაცნობად!

დილით ადრე პირველ სიცილს
ჩვენ დავასწრებთ მზის ცელქ სხივებს;
ხან მდინარეს მივაშურებთ,
ხან ვეწვევით კოლექტივებს...“

ეჰ, კარგებო, თქვენი ნატვრა
ასრულდება დღეს თუ ხვალე;
მე კი, მე რა მეშველება,
რომ ვერ გნახავთ ისევ მაღე?!

აქ უთქვენოდ როგორ გავძლო,
ვინ მომაფრქვევს
თქვენებრ თვალებს?!
მოდით, მეც თან წამიყვანეთ,
არ დამტოვოთ, გენაცვალეთ!

გიორგი ქუჩიშვილი

ნახატი **გ. ჩირინაშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ყანაში

დღეს, მინდორში, თავთავის ასაკრეფათ მეხუთე კლასი გაემგზავრა. სოფელს რომ გასცდნენ, კომბაინის გუგუნს შორიდანვე მოჰკრეს ყური. წითელი დროშა შეაფრიალეს და ოქროსფრად მღელვარე ყანას მანქანა სიმღერით მიაყენეს.

— ეე... ბიჭებო, ერთი შეხედეთ რა უზარმაზარი რამ არის, რა კარგია!— წამოიძახეს ბავშვებმა, კომბაინს უკან აედევნენ და გულდასმით დაუწყეს ცქერა.

— ოჰ, შენი ჭირიმე, შეხედეთ ბიჭებო, ტუხაანთ დალაქივით როგორ კოხტად პარსავს.

— მერე რამოდენა სავარცხელია, უყურეთ, უყურეთ. — აღფრთოვანებით გაიძახოდნენ ბავშვები, თან კომბაინს მისდევდნენ და მის მუშაობას გაფაციცებით თვალს ადევნებდნენ.

კომბაინს ტრაქტორი მაგრად ჩასჭიდებოდა და თავის გუხებაზე უზარმაზარ მანქანას ოქროსფრად გადაყვითლებულ ველზე მსუბუქად დაასეირნებდა. ახალგაზრდა ტრაქტორისტი გელა ბავშვების აღტაცებაზე უფრო წახალისდა. მანქანის გუგუნთან ერთად სიმღერა შემოსძახა.

ბავშვებმა კომბაინის დათვალიერებით გული რომ იჯერეს, მომკილ ფართობს მწკრივად შეესივნენ და თავთავის აკრეფას შეუდგნენ.

ორმოცი ბავშვი ოთხ ჯგუფად გაიყო და სანამ ძლიერ ჩამოცხებოდა, შეჯიბრებულმა ჯგუფებმა რამდენიმე ტომარა გაავსეს, მერე რუს პირად, ჭადრების ჩრდილში პირი დაიბანეს, გაგრილდნენ, დანაყრდნენ და დასასვენებლად მწვანეზე წამოგორდნენ. ცოტა ქვემოთ, კოლმეურნეობის ფარდულთან, დიდი ცეცხლი

ენთო, ზედ ქვაბი იდგა და შავკაბიანი დედაკაცი აორთქლებულ ქვაბს ქაფქირით ხელში დასტრიალებდა. კოლმეურნეობის მორიგე მზარეული ძუშებს სადილს უმზადებდა და ირგვლივ გემრიელი სუნი იდგა.

როცა ბავშვებმა ჩრდილქვეშ ჟრიამული ასტეხეს, მზარეულმა ქალმა იქით გაიხედა, ბავშვები იცნო და რამდენიმე წუთით თვალი აღარ მოუშორებია. მერე უცებ წყნარად მოშრიალე ჭადრის ხეს მიეყრდნო და თვალებზე ხელები მიიფარა.

— ხედავთ, ბიჭებო, აგერ ის საწყალი, ვანოს დედაა... ტირის, საცოდავი.

ბავშვებმა იცნეს ამხანაგის დედა და სული განაბეს.

— ბიჭო, შვიდი თვეა სახლში თურმე მარტო დასაძინებლად მიდის, ხელგაუჩერებლად მუშაობს, რომ ჯავრი გულიდან გადაიყაროს...

— ალბათ ჩვენ რომ დაგვინახა თავისი შვილი გაახსენდა და ველარ მოითმინა.

— ბიჭებო, მოდი ღელესთან ჩავიდეთ, ჭალას მოვეფაროთ, თორემ ცოდოა, ჩვენ რომ გვიცქერის ალბათ, ვანო სულ თვალწინ უდგას.

ბავშვები წყნარად აიშალნენ და ქვემოდ ჩავიდნენ. მაგრამ ვალიკომ ველარ მოითმინა, ვანო მისი ახლობელი ამხანაგი იყო, კლასში ერთ მერხზე ისხდნენ, და ახლა მისი დედა რომ ატირებული დაინახა — გულმა იქით გაუწია, ძლიერ უნდოდა გულში ჩაჰკვროდა და დაეშვიდებინა, მაგრამ ვერ გაბედა, და ისევ ამხანაგებს გაჰყვა უკან.

სალამოთი, როცა ბავშვებმა ტომრებით დატვირთული მანქანა კოლმეურნეობას მიაყენეს, თავმჯდომარემ ბავშვები ერთგული მუშაობისათვის შეაქო და შრომადღეების დაწერა აღუთქვა. ვალიკო წინ წამოდგა და თავმჯდომარეს უთხრა:

— ძია სანდრო, ჩვენმა კლასმა ასე გადასწყვიტა, რომ ეს შრომადღეები დეიდა ნინოს, ჩვენი საყვარელი ამხანაგის დედას, დაეწეროს. გარდა ამისა, დღეს გადავწყვიტეთ მანქანა გთხოვოთ, ფიჩხის ჩამოსატანად, რადგან დეიდა ნინოს ღობე მთლად შემოძარცულა და უნდა მალე შევღობოთ.

— აი, თქვენ გაიხარეთ და იცოცხლეთ, რომ ეგრე კარგები იზრდებით, — გაუხარდათ იქ დამსწრე კოლმეურნეებს და ბავშვებს სურვილის ასრულებას დაჰპირდნენ.

ანა ხახუბაშვილი (ცქვიჯი)

ნახატები **გ. ჩირინაშვილისა.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილოს ურემი

როგორც იქნა, პაპა თედომ მოიცალა და პატარა ილოს სათამაშო ურემი გაუკეთა. ამ პაწაწინა, კოხტა ურემს ილო დიდი ხანია ნატრობდა, წელში მოხრილ ოთხმოცი წლის პაპას კვიცივით უკან დასდევდა და ემუდარებოდა:

— პაპა თედო, ურემი, პატარა ურემი გამიკეთეო...

ჰო-და, ამ დილით რომ გაიღვიძა და თვალები მოიფშვნიტა, თავის საწოლთან სწორედ ისეთი პაწაწინა ურემი დაინახა, წუხელის რომ ესიზმრა.

პაპა თედოც იქვე იდგა და იღიმებოდა.

ახლაც სიზმარში ეგონა თავი. მაგრამ არა, ეს სიზმარი არ იყო.

ილო სიხარულით ცას დაეწია. პაპას ყელზე შემოეჭდო და აკოცა. საჩქაროდ ტანთ ჩაიცვა, ურემი გარეთ გამოიტანა და მეზობლის ბიჭებს დაუძახა.

ბავშვები ჟრიამულით დააქროლებდნენ ურემს ორღობეებში. ზედ, ხან პატარა ფიჩხის კონებს უწყობდნენ, ხან რიყის ქვებს ეზიდებოდნენ.

გახურებული კალოობა იყო. სოფლის შარაგზაზე პურის ძნით დატვირთული ურმები მიდი-მოდიოდნენ. გზაზე ოქროსფერი თავთავები ეყარა.

— მოდით, ბიჭებო, თავთავი ავკრიფოთ, ურემზე დავუწყოთ და მერე კალოობა ვითამაშოთ! — წამოიძახა ილომ.

ბიჭები თავთავის შეგროვებას შეუდგნენ. თავთავებს პატარა ძნებად ჰკრავდნენ და ურემზე აწყობდნენ. მალე ურემი ოქროს თავთავით დაიტვირთა. იქვე, გზის პირას, პატარა კალოს მომზადება დაიწყეს ბავშკებმა. მათი მხიარული ჟრიამული სოფელს აცოცხლებდა.

გზაზე თავთავის კონებით დატვირთული ნიკა გამოჩნდა. მოქანცულ ნიკას მძიმე ტვირთი მოჰქონდა. ის ერთი-ორი წლით უფროსი იყო ილოზე.

— მოდი, ნიკა, მოდი! — დაუძახეს ბიჭებმა.

ნიკა დინჯად შეჩერდა და დიდი კაცივით გადახედა ცელქებს. თავთავის კონებით დატვირთული პატარა ურემი რომ დაინახა, შუბლი შეიკრა და იკითხა:

— რა გინდათ, ბიჭებო, რას აპირებთ?

— კალოობას ვთამაშობთ... თუ გინდა, შენც გაგილეწავთ! — უპასუხა ილომ.

— არა, არ შეიძლება! — წამოიძახა ნიკამ, — თავთავი კოლექტივისაა!

— გზაზე ავკრიფეთ, ჩვენია! — აყაყანდნენ ბიჭები.

— გზაზე საიდან გაჩნდა თავთავი? — შეეკითხა ნიკა.

— საიდან და... ურმებიდან გადმოცვივდა ..

— მერე ურმები ვისია? — ეშმაკური ღიმილით გაუმეორა ნიკამ. ბიჭები სდუმდნენ. ნიკა არ ეშვებოდა, იცინოდა და კვლავ ეკითხებოდა:

— აბა, მითხარით, ურმები ვილასია?

— ურმები კოლექტივისაა... — თქვა ბოლოს ილომ და დარცხვენით თავი ჩაღუნა.

— ჰო-და, თავთავიც კოლექტივისაა, მეც გზაზე ავკრიფე, მაგრამ საერთო კალოზე მიმაქვს! — წამოიძახა ნიკამ და გზას გაუდგა.

ბიჭები მცირე ხანს ჩაფიქრებულნი იდგნენ. უცებ, ილოს თვალები გაუბრწყინდა, ურემთან მიირბინა და ამხანაგებს გასძახა:

— წავიდეთ, ბიჭებო, წავიდეთ, ჩვენი ურემიც საერთო კალოზე მივიტანოთ!

ორღობეში პატარა ურმის ჭრიალი და ბავშვების ჟრიამული გაისმა. წინწასულმა ნიკამ მოიხედა, გაიღიმა და ოქროს თავთავებით დატვირთულ ქარავანს საერთო კალოსკენ გაუძღვა.

გიორგი შაგბერაშვილი.

ლურსმანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ მჭედელს ჰყავდა ვაჟი, სახელად ვანო. ბავშვი მეტისმეტად ზარმაცი და გაუგონარი იყო. მისი ცელქობითა და ცუდი ყოფაქცევით მამას თავი მობეზრებული ჰქონდა.

—მისმინე,—უთხრა ერთ დღეს მამამ თავის ვაჟს,—მე მინდა შენი ყოველი საქციელი აღიბეჭდოს აი, ამ დაფაზე—და კედელზე გაკრულ ფიცარზე მიუთითა.—როდესაც შენ დაამშავებ რამეს და ცუდად მოიქცევი,მე ლურსმანს მივაჭედებ დაფას, ხოლო როდესაც დანაშაულს გამოისყიდი და გამოსწორდები, ლურსმნები მოაკლდება.

ერთ დღეს, ვანომ შეამჩნია, რომ დაფა ლურსმნებით იყო მოჭედილი. შერცხვა თავისი საქციელისა და გადასწყვიტა გამოსწორებულიყო. იმ დღიდან იგი სულ შეიცვალა, გაკვეთილებს ბეჯითად ამზადებდა და გამგონიც გახდა. ლურსმნებმაც კლება იწყეს, მხოლოდ ერთი ღა დარჩა.

მჭედელმა დაფასთან მიიყვანა შვილი და კმაყოფილი სახით უთხრა:

—ხედავ, ვანო, როგორ გამოსწორდი! აი, ამ ლურსმანსაც ამოვაძრობ და ამის შემდეგ შენ უკვე აღარაფერი გექნება სასაყვედურო.

ვანო, იმის მაგივრად, რომ სიხარულით შეხვედროდა ამ ამბავს, მოიღუშა, წარბები შეიკრა და თვალები ცრემლით აევსო.

განცვიფრებულმა მამამ შვილს მხარზე ხელი დაადო და ჰკითხა:

—როგორ! განა შენ ამ ამბის მოხარული არ ხარ?!

—დიახ,—სლუკუნებდა ბავშვი,—მართალია ლურსმნები აღარ არის, მაგრამ მათი არსებობის კვალი კი მთელ დაფას ემჩნევა, ისეა დაჩხვლეტილი.

მჭედელმა გულიანად გაიცინა, ხოლო შემდეგ შეჩერდა და თავის ვაჟს უთხრა:

—ყოველი შენი საქციელის წინ დაფიქრდი, თორემ შემდეგ გვიან იქნება. მართალია, შეიძლება გამოასწორო შეცდომა, მაგრამ მისი კვალი მაინც რჩება შენს ცხოვრებაში.

გადმოკეთებული **თამარ საჯაიას** მიერ

თენგიზის და დოდოს დავა

დიდი დავა მოუვიდათ
თენგიზსა და დოდოს,—
წაიკიდნენ პატარები,
მერე იცით როგორ?!
დოდო ამბობს: „ჩემი ფისო
შენს მურიას არ ჰგავს,
დღედაღამ რომ იღრინება
და იძახის — ჰამ, ჰამ!“
თენგიზმა თქვა: „მურიკელა
არ გეგონოს ფისო,
პრანჭვა-გრეხას დაჩვეული,
ღამეც რომ არ ფხიზლობს.
ჩემი მურა სახლს დარაჯობს
და ერთგულად იცავს,
თქმა არ უნდა, შენს ფისოს სჯობს,
ჩემს დედიკოს ვფიცავ!
ფისუნია და მურიკო
იქვე ჩაცუცქულნი
ყურს უგდებდნენ და ორივეს
მოუვიდათ გული.
აიფხორა ფისუნია,
მურამ შეულრინა,
გარბის ფისო, მისდევს მურა,
აწიოკდა ბინა.
ჩხუბში დედა ჩაერია:
— „ფისუნაც და მურაც
მუდამ, მუდამ მზად არიან
ჩვენდა სამსახურად.
თქვე ცელქებო, თქვე ანცებო,
აბა, რატომ ღელავთ!..“
კვლავ შერიგდნენ თენგიზ, დოდო,
ფისო, მურიკელა.

ამირან აბშილავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საათის სიმღერა

ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ! საათი ვარ,
საათი ვარ სწორი, ზუსტი.
უკვე დროა, ნუ აყოვნებ,
საქმეს ხელი! რალას უცდი?!
ვინც ყოველ წუთს არ აფასებს,
შრომაშია იგი სუსტი!
ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ; ტიკ-ტაკ,
საათი ვარ სწორი, ზუსტი!
ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, საათი ვარ,
დროს ვითვლი და დროს ვაჩვენებ;
შენც ცხოვრების ზუსტი გეგმა
დროს მიხედვით ააშენე,
დრო სჭირია სულ ყველაფერს,
დაიხსომე კარგად შენ ეს;
დროზე იწყე შრომა-გარჯა,
თავის დროზე დაისვენე!
ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, საათი ვარ,
დროს ვითვლი და დროს ვაჩვენებ!
ტიკ-ტაკ; ტიკ-ტაკ; საათი ვარ,
გესმით, გესმით ჩემი ენა?!

ყველაფერი სამყაროში
დრო-ჟამს მისდევს, გწამდეთ თქვენა:
მზის გარშემო მიწის ბრუნვა,
ვარსკვლავების ცაში ფრენა,
დღედალამის ანგარიში,
ცაზე მთვარის გამოჩენა,
დედამიწის აყვავება
და მალიდან თოვლის ცვენა!..
ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, საათი ვარ,
გაიგონეთ ჩემი ენა!
ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, საათი ვარ,
საათი ვარ სწორი, ზუსტი,
უკვე დროა, ნუ აყოვნებ,
საქმეს ხელი, რალას უცდი!
ვინც ყოველწუთს არ აფასებს,
შრომაშია იგი სუსტი!
ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ-ტიკ-ტაკ!..
საათი ვარ სწორი, ზუსტი.

ილია სიხარულიძე

ნახატი ანდრო კანდელაკისა

აბა სულ რამდენია?!

დარჩენილა მარტო ერთი,
ეს წიწილა თეთრზე-თეთრი.
ერთი იყო — ორი გახდა,
ერთიც მიწას ქექავს სახლთან.
ერთი გარბის დედა კრუხთან,
სულ უძახდა, მეტად წუხდა.
ერთი გვერდზე გადაუხტა,
ერთსაც ჭია უშოვნია,
ამ ერთს ალბათ ძალზე შია,
რომ იძახის წია-წიას.

ნიკოლოზ ჩაჩავა

ტელესიკი

უკრაინული ხალხური ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მოხუცი ცოლ-ქმარი. ძალიან სწუხდნენ რომ შვილი არა ჰყავდათ. ამ სიბერეში ვინ გვიპატრონებსო.

დედაბერმა პაპას სთხოვა:

— წადი ტყეში, ხე მოსჭერი, აკვანი გამოთალე,— შიგ თოჯინას ჩავაწვენ, იავ-ნანას ვუმღერებ და გავერთობიო.

თავდაპირველად პაპა უარზე იყო, ბოლოს დათანხმდა. ხე მოსჭრა, აკვანი გამოთალა და შინ ბებიას მოუტანა. ბებიამ ხის თოჯინა აკვანში ჩააწვინა, არწევს და უმღერის:

„იავ-ნანა ტელესიკსა,
მოგიხარშე ტკბილი ფაფა,
ორთავე შენ დაგენაცვლეთ,
შენი ბებო, შენი პაპა!“

არწია, არწია და ბებოს ჩაეძინა. დილით ადგნენ და ხედავენ: ის თოჯინა პატარა ბიჭად ქცეულა. ორივე სიხარულით ცას დაეწია. პატარა ბიჭუნას ტელესიკი დაარქვეს.

ბიჭუნა გაიზარდა და ისე კარგი გახდა, რომ ბებია და პაპა მისი ცქერით ვერ ძღებიან.

ტელესიკი რომ წამოიზარდა, პაპას ეუბნება:

— გამიკეთე ოქროს ნავი და ვერცხლის ნიჩაბი, თევზს დავიჭერ და სახლში მოვიტანო. პაპამ გაუკეთა ოქროს ნავი და ვერცხლის ნიჩაბი.

მიაცურებს ტელესიკი მდინარეში ნავს, თევზს იჭერს და ბებიასთან და პაპასთან მიაქვს.

ბებიას კი მისთვის საგზალი მიაქვს, თან არიგებს:

— ჩემო კარგო, მე რომ დაგიძახებ, ნაპირზე გამოდი, სხვამ თუ დაგიძახოს,— შიგნით, შუა მდინარეში შეცურდიო.



ბებომ სადილი მოუმზადა და ნაპირიდან უძახის:

„ტელესიკო, მოდი მალე,
სადილი მაქვს უკვე მზადა.
შემწვარიც მაქვს, მოხრაკულიც,
გამოგიცხვე ტკბილი ქადაც.“

გაიგონა ტელესიკმა და თქვა:

— გავცურო ჩემო ნავო ნაპირისაკენ,— ბებომ სადილი მოგვიტანაო.

მოცურდა, სადილი მიირთვა და თავისი ოქროს ნავითა და ვერცხლის ნიჩბით ისევ სათევზაოდ გასწია.

იმ დროს, ბებოს ძახილს მგელი ყურს უგდებდა. მოვიდა ნაპირზე და ბოხი ხმით უძახის:

„ტელესიკო, მოდი მალე,
სადილი მაქვს უკვე ზზადა,
შემწვარიც მაქვს, მოხრაკულიც,
გამოგიცხვე ტკბილი ქადაც“.

გაიგონა ტელესიკმა.

— ეს ბებიას ხმას არა ჰგავსო. გავცურდეთ ნავო უფრო შორს, შუა მდინარეშიო.

მოუსვა ნიჩაბი და ნავი შეცურდა. მგელი კი ხახამშრალი დარჩა. მგელმა მჭედელთან გასწია.

მჭედელო, მჭედელო! ისეთი წვრილი ხმა დამიყენე ტელესიკის ბებოს რომ აქვსო.

დაუყენა წვრილი ხმა მჭედელმა, მოვიდა მგელი ნაპირთან და გასძახა:

„ ტელესიკო, მოდი მალე,
სადილი მაქვს შენთვის მზადა,
შემწვარიც მაქვს, მოხრაკულიც,
გამოგიცხვე ტკბილი ქადაც.“

ტელესიკს ეგონა რომ ბებია ეძახის. ნაპირთან გამოცურდა, დაავლო მგელმა პირი, თავისი ქოხისაკენ გააქანა და თავის შვილს ალენკას დაუძახა:

— ღუმელი გაახურე და ტელესიკი შემიწვი, მე კი სტუმრებს დავპატიჟებ და ვიქეიფოთო.

და გაძუნძულდა სტუმრების დასაპატიჟებლად.

ალენკამ ღუმელი გაახურა და ტელესიკს ეუბნება:

— დაჯექი კეცზე.

ის კი უპასუხებს:

— რომ არ ვიცი როგორ დავჯდე?

ტელესიკმა კეცზე ხელი დაადო.

— ასე დავჯდე? — ეკითხება.

— ეგრე კი არა სულ დაჯექი!

ტელესიკმა კეცზე თავი დაადო.

— ეგრე არა, მთლიანად დაჯექი!

ტელესიკმა ფეხი დასდო კეცზე.

— აბა, როგორ?

— არა, არც ეგრე.

— აბა, მაშ მიჩვენე როგორ დავჯდე, მე ხომ არ ვიცი, — უთხრა ტელესიკმა.

ალენკა დაჯდა თუ არა კეცზე, დაავლო ტელესიკმა ხელი, გახურებულ ღუმელში შეუძახა და ღუმელის კარები მიხურა. ქოხის კარი დაჰკეტა და დერეფანში, - სხვენზე შეჯდა.

აი, მგელმა სტუმრებიც მოიყვანა.

— მგელუკა-ალენიკა კარი გამიღე! ხმა არავინ გასცა.

ეს დაწყევლილი, სად ეშმაკებში წავიდოდაო.

გააღო მგელმა კარი, შეიყვანა სტუმრები და სუფრას მოუსხდნენ. მგელმა ღუმელი გააღო და შემწვრით სტუმრებს გაუმასპინძლდა. ყველა სიამოვნებით ახრამუნებს — ჰგონიათ ტელესიკია. მაგრად გამოძღენ, ეზოში გამოვიდნენ, ბალახზე გაგორდნენ და სიმღერა დასძახეს:

„გავგორდეთ და გამოვგორდეთ, —
ხომ შევჭამეთ ტელესიკი.“

ტელესიკმა სხვენიდან ჩამოსძახა:

„გაგორდით და გამოგორდით, —
ვერ მიირთვით ტელესიკი“.

მგლებს გაუკვირდათ, ვინ იძახისო. დაიწყეს ძებნა და სხვენზე ტელესიკი დაინახეს. დაუწყეს ბოძებს ღრღნა. ხრეს, ხრეს და კბილები დაიმტვრიეს. გაიქცნენ მჭედელთან:

— მჭედელო, მჭედელო, ისეთი კბილები გაგვიკეთე, რომ ყველა ბოძი გადავხრათო. გაუკეთა მჭედელმა კბილები, ისევ მოცვივდნენ და ხრავენ...

ამ დროს ბატებმა გადმოიფრინეს. ტელესიკი სთხოვს:

„ბატო, ბატო, ბატუნებო,
მომაგებეთ თქვენი ფრთები,
სახლისაკენ გამაქროლეთ,
შინ მიმელის ჩემი ბები.“

ბატები აყიყინდნენ: — ჩვენ მოწინავენი ვართ, შუალებმა წაგიყვანონო.

მგლები კი ხრავენ და ხრავენ...

აი კიდევ მოფრინავენ ბატები. ტელესიკი ეხლა მათ ეხვეწება:

„ბატო, ბატო, ბატუნებო,
მომაგებეთ თქვენი ფრთები,
სახლისაკენ გამაქროლეთ,
შინ მიმელის ჩემი ბები“.

ბატებმა უპასუხეს: — ჩვენ შუათანები ვართ, ბოლოლებმა წაგიყვანონო.

ბოძები უკვე აკრიალდნენ, საცაა წაიქცევიან.

დაისვენებენ მგლები, კიდევ ხრავენ, დაისვენებენ და ხრავენ...

აი კიდევ გამოჩნდა ბატების გუნდი. ახლა ტელესიკმა მათ მიმართა:

„ბატო, ბატო, ბატუნებო
მომაგებეთ თქვენი ფრთები,
სახლისაკენ გამაქროლეთ
შინ მიმელის ჩემი ბები.“

ბატებმა უპასუხეს:

— უკანასკნელმა წაგიყვანოსო!—და გაფრინდნენ.

ზის სხვენზე ჩვენი ტელესიკი. აი, საცაა ბოძი წაიქცევა და მგლებს პირში ჩაუვარდება.

უცებ ცაში ერთადერთი ბატი გამოჩნდება, გუნდს ჩამორჩენილა და ძლივსღა მიფრინავს.

„ბატო, ბატო, ბატატუნა,
მომაგებე შენი ფრთები,
სახლისაკენ გამაქროლე,
შინ მიმელის ჩემი ბები.“

ბატმა უპასუხა:

შემაჯექ ფრთებზე, ძმობილო!

ბატმა ტელესიკი ზურგზე შეისვა. ეტყობა დაიღალა და დაბლა-დაბლა მიფრინავს. მგლები უკან მისდევენ. აი, სადაცაა დაიჭერენ... მაგრამ ვერ დაეწიენ!.. ბატმა ტელესიკი თავის ეზოში ჩამოსვა და თვითონ ბალახს დაუწყო კორტნა.

ზის ტელესიკი კარის დირესთან და უსმენს სახლში რა ხდება.

აი, ბებიას გამოუცხვია ქადები, და პაპას ეუბნება:

— ეს ქადა შენა და ეს ქადა კი მეო.

ტელესიკმა შესძახა:

— მე რაღაო?

მათ გაიგონეს.

— გესმის, მგონი ვილაც გვეძახის.

პაპამ უპასუხა:

— ალბათ მოგეჩვენა.

მივიდა ბებია ფანჯარასთან და ხედავს: თავისი ტელესიკია!

გამოცვივდნენ, მოეხვივნენ ტელესიკს და უხარიათ. ბატი კი ეზოში დაბაჯბაჯებს.

რა კარგი ბატია, დავიჭერ და დავკლავო, თქვა ბებიამ.

— არა, ბებია! ნუ დაკლავ, დააპურე, ეგ რომ არა ყოფილიყო მე თქვენთან ვერ მოვიდოდი.

დაუყარეს ბატს საკენკი, წყალი დაალევინეს, ფრთებშიც საგზლად ხორბალი ჩაუყარეს და ბატი გაფრინდა.

აი, თქვენ ზღაპარი
და მე კი ნამცხვარი.

გადმოკეთებული **რ. მ — ნის** მიერ.



ყდა — „ყანაში“ შესრულებულია **ალ. გიგოლაშვილის** მიერ.

პასუხისმგებელი რედაქტორი **რევაზ მარგიანი**

სარედაქციო კოლეგია: **გრ. აბაშიძე, ეკატერინე ბურჯანაძე, იოსებ გრიშაშვილი, ილია სიხარულიძე, თინათინ თუმანიშვილი, მაყვალა მრევლიშვილი, ნატალია უნაფძოშვილი, შალვა ცხადაძე.**

ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ

„ДИЛА“ – ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 7. 1948 г.

გამომცემლობა „კომუნისტი“. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. 1 სართ. ტელ. 3-81-85

გამომცემლობის შეკვ. № 61 სტამბის შეკვ. № 1174. ტირაჟი 7000 უე 10666 **ფასი 6 მან.**

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“ თბილისი, ლენინის ქ. № 28. ფერადი ილუსტრაციები დაბეჭდილია საგემოვნო მრეწვ. სამინისტროს ლითოგრაფიაში. ყდა დაბეჭდილია ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის ფოტოცინკოგრაფიაში